საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1492

ქ. თბილისი

22/10/2021

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვებაში შპს „ნიკორას“ სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაციის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის მე-16 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვებაში შპს „ნიკორას“ სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაციის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა №49 (04.10.2021);
2. შპს „ნიკორა“ სავალდებულოა გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №49 (04.10.2021) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ნიკორას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნიკორას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი